თანაკლუბელთა ფრე

თბილისი ვ. ი. ლენინის სახელობის “დინამოს” სტადიონი. 17 ოქტომბერი.

“დინამო” (თბილისი) - “დინამო” (მოსკოვი) 1:1 (0:0).

თბილისი: გაბელია, მუჯირი, ქორიძე, ხინჩაგაშვილი, ჭილაია, დარასელია, მ. მაჩაიძე, კაკილაშვილი (კანთელაძე), გუცაევი, ყიფიანი, კოპალეიშვილი (შენგელია).

მოსკოვი: გონტარი, ნოვიკოვი, ნიკულინი, მახოვიკოვი, ბუბნოვი, პეტრუშინი, ტოლსტიხი, მინაევი, რეზნიკი, მაქსიმენკოვი, გაზაევი.

მსაჯი გ. გალიკოვი (ლენინგრადი).

გოლები გაიტანეს: ტოლსტიხმა (მე-60 წ.) და მ. მაჩაიძემ (68). გაფრთხილებულია ნიკულინი.

24 ოქტომბრამდე ერთი კვირაღა დარჩა. ამ დროს კი როგორც თბილისის, ისე მოსკოვის დინამოელებს უაღრესად საპასუხისმგებლო საერთაშორისო მატჩები აქვთ ევროპის საკლუბო ტურნირების პროგრამით და ორივეს ძალზე ძნელი მეტოქე ჰყავს გფრ-ის “ჰამბურგისა” და პორტუგალიის “ბოავისტას” სახით.

ახლა ყველაფერ ამ მატჩებისთვის სამზადისითაა გამსჭვალული, მაგრამ ჩემპიონატი ჩემპიონატია და უმაღლესი ლიგის ამ ორი უძველესი მოწინააღმდეგის შეხვედრა ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა 24 ოქტომბრის მოლოდინში.

მატჩი თბილისელთა იერიშებით დაიწყო. მთელი ტაიმი უპირატესობა მასპინძელთა მხარესაა. საკმარისია ითქვას, რომ სტუმრებმა ასე თუ ისე სახიფათოდ მხოლოდ 27-ე წუთზე შეუტიეს _ საჯარიმოში მარტო დარჩენილმა მაქსიმენკოვმა ვერ შეძლო ბურთის შეჩერება. მანამდე კი მე-9, მე-15, მე-18 და 25-ე წუთებზე გუცაევს, კაკილაშვილსა და ორჯერ დარასელიას საკმაოდ ხელსაყრელი შესაძლებლობა მიეცათ მოსკოველთა კარში ბურთის გასატანად. შესვენებამდე კიდევ ორი საგოლე მომენტი შეიქმნა. პირველ შემთხვევაში ყიფიანის თავური დარტყმა მიზანს აცდა, მეორეში კი ისევ უზუსტოდ ითამაშა მაქსიმენკოვმა.

მეორე ტაიმი. ისევ თბილისელები უტევენ. მაგრამ, როგორც ასეთ დროს ხშირად ხდება ხოლმე, ბურთი მოპირდაპირე კარის ბადეში აღმოჩნდა. მოსკოველი ფეხბურთელი მასპინძელთა საჯარიმოში წაიქცა. პენალტი ტოლსტიხმა ზუსტად გამოიყენა მშვენიერი შესაძლებლობა.

იმისათვის, რომ მასპინძლებს 0 ქულისთვის თავი დაეღწიათ, უკვე ორი გოლის გატანა გახდა საჭირო. თბილისელებმა უმატეს ტემპს. მოსკოველები უხეშობენ. 68-ე წუთზე კი მასპინძელთა ერთ-ერთი გადაცემა ხელით შეაჩერეს სტუმართა მცველებმა. ჯარიმა ისევ როგორც “არარატთან” მატჩში, თბილისელთა კაპიტნის მ. მაჩაიძის ძლიერი დარტყმა ამჯერადაც ზუსტი გამოდგა _ 1:1. შემდეგ სტუმრებმა ყველა ღონე იხმარეს და შეინარჩუნეს კიდეც ანგარიში.

ეს საინტერესო შეხვედრა დამთავრდა ფრედ, მაგრამ როგორც აღვნიშნეთ, ამ ანგარიშმა თბილისის “დინამოს” 0 ქულა მოუტანა, მოსკოველებმა კი ქულა ჩაიწერეს აქტივში.

მ. მორჩილაძე.

ლელო 18.X.79